ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3631111

ნომერი: AR1550507

თარიღი : 19.10.2017

გაცემის თარიღი : 26.10.2017

გაცნობის თარიღი : 01.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზი გოგოლაშვილი პ/ნ 01019045204
- თბილისი ე.ბეჟანიშვილის I გას. N 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3595069 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

19 ოქტომბრის №AR1550507 განცხადებით მომართა მოქ. ნიკოლოზ გოგოლაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3595069 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3595069 ბრძანებით შეთანხმდა: ქალაქ თბილისში , ბელიაშვილის ქუჩის, №22-ში, შპს ,,დენმარკ ჰაუსის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ს/კ: 01.13.02.010.059, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 13 ოქტომბრიდან 2019 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირებულია 6502.3 კვ.მ ნაცვლად 6931.4 კვ.მ-სა, სახაფხულო ფართობად დაფიქსირებულია 727.3 კვ.მ ნაცვლად 773.5 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირებულია 1025.6 კვ.მ ნაცვლად 1090.1 კვ.მ-სა, საერთო ფართობად დაფიქსირებულია 9720.5 კვ.მ ნაცვლად 10260.3 კვ.მ-სა.
სამსახურმა 2017 წლის 19 ოქტომბრის №AR1550507 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3595069 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3595069 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილ10260.3ისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3595069 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 6931.4 კვ.მ, საზაფხულო ფათობად დაფიქსირდეს 773.5 კვ.მ, კიბის უჯრედისა დასადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 1090.1 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 10260.3 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3595069 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3595069 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.